პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 107 (3084)

5 ივნისი. კვირა. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი




XXII პარტიით ნათელი მოეფინა კითხვას: პეტროსიანი თუ სპასკი, თუმცა ორთაბრძოლა ჯერ ისევ გრძელდება, რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს მომდევნო ორი პარტია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ისევ ტ. პეტროსიანს რჩება. უაღრესად ძნელ და დამქანცველ ჭიდილში მან შეძლო „მეფის ტახტის" შენარჩუნება.

მილიონობით ჭადრაკის მოყვარული სიხარულით შეხვდა პეტროსიანის დიდი წარმატების ამბავს. ამან დიდად გაახარა თბილისის პიონერთა სასახლე და მისი საჭადრაკო კაბინეტიც, რომლის კედლებში სასიქადულო ქართველმა ოსტატმა ა. ებრალიძემ ჭადრაკის ჭაშნიკი აალებინა ტიგრანს. 5 და 6 ივნისს პიონერთა სასახლე დაარსების 25 წლისთავს იზეიმებს. თავისი ბრწყინვალე გამარჯვებით ტიგრანმა თითქოს დღესასწაული მიულოცა მას.

სასახლემ განა მხოლოდ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ტ. პეტროსიანს დაულოცა დიდი ჭადრაკის გზა. აქ ღვაწლმოსილი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხელმძღვანელობით აღიზარდა კიდევ ერთი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი. ამ კედლებში ეზიარენ ჭადრაკს ოსტატები მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ბოკუჩავა, ნ. ალექსანდრია და სხვები.

ჭადრაკის მემატიანე მუდამ ინტერესით გაიხსენებს პეტროსიან — სპასკის მატჩს. უახლოეს ხანში კი სპეციალისტები და მიმომხილველები მთელი სიღრმე-სიგანით განიხილავენ ამ საინტერესო ბრძოლის შემოქმედებით და სპორტულ შედეგებს. როგორც მსოფლიო პირველობისთვის ყოველი ორთაბრძოლა, ისე პეტროსიან — სპასკის მატჩი, უდავოდ შეიტანს წვლილს ჭადრაკის განვითარებაში!

* * *

სურათზე: ეს-ეს არის, დამთავრდა მატჩის XXII პარტია. პირველმა, ვინც მიულოცა ჩემპიონობა პეტროსიანს, იყო თვით მოწინააღმდეგე — ბ. სპასკი.

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი).

## ფანტასტიკური სისწრაფით

ე რ ე ვ ა ნ ი, 4 ივნისი (ტელეფონით). აქ დაიწყო გროზნოს, თბილისისა და ადგილობრივ ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრა (ოდესის გუნდმა უარი თქვა ასპარეზობაში მონაწილეობაზე).

ერევნის ტრეკი ბედნიერი გამოდგა მსოფლიო ჩემპიონ ო. ფხაკაძისთვის. გიტში 500 მ-ზე სვლით ქართველმა სპორტსმენმა 29,3 აჩვენა. ეს 0,1 წამით ჯობს ვ. ლოგუნოვის მსოფლიო რეკორდს, რომელიც 1964 წელს ირკუტსკის ხის ტრეკზე იყო დამყარებული.

ვირაჟზე ფხაკაძემ უდიდესი სისწრაფე განავითარა. მაყურებელი სულთქმაშეკრული შეჰყურებდა ასპარეზობას. შედეგი ჯერ გამოცხადებული არ იყო, რომ აღტაცებულმა გულშემატკივრებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს შესანიშნავი ველოსიპედისტი.

სპრინტში ასპარეზობაზე მსოფლიო ჩემპიონმა და რეკორდსმენმა უარი თქვა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. 12 ივნისს ფხაკაძე ევროპაში მიემგზავრება საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად და გასაგებია, რომ ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან აცილების მიზნით, მოერიდა გამოსვლას.

ქართველმა სპორტსმენმა სცადა გაეუმჯობესებინა თავისივე საკავშირო რეკორდი 200 მ-ზე სვლით ასპარეზობაში, მაგრამ მხოლოდ გამეორება (11,2) შეძლო. თუ გავითვალისწინებთ, რომ საკავშირო რეკორდი ფხაკაძემ 500-მეტრიან ტრეკზე და ისიც ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ცხარე დღეებში დაამყარა, მაშინ ახლა, სეზონის დასაწყისში ნაჩვენები დრო უდავოდ ბევრისაღმთქმელად მოგვეჩვენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერევნის ტრეკი ბეტონის ტრეკზე ორჯერ ნაკლებია.

შეჯიბრების პირველ დღეს 42 ქულით დაწინაურდნენ მასპინძლები. გროზნოელებსა და თბილისელებს 27-27 ქულა აქვთ. ასპარეზობა ხვალ მთავრდება.

სურათზე: მსოფლიოს რეკორდსმენი ო. ფხაკაძე.

ფოტო ა. სააკოვისა.



## ახალი ამბები

● მ ო ს კ ო ვ ი, 3 ივნისი. დაიწყო სსრ კავშირის პირველობა ფარიკაობაში. პირველ დღეს ასპარეზობდნენ ხმლით მოფარიკავენი. ფინალში მოსახვედრად 60 სპორტსმენი ეჯიბრებოდა ერთმანეთს და მათგან მხოლოდ 6-მა მოიპოვა ოქროს მედლისათვის ბრძოლის უფლება. სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ე. ვინოკუროვი, რომელმაც 18 ბრძოლა მოიგო და მხოლოდ ერთი წააგო, ამასთან, მან ხუთივე საფინალო შეხვედრაში გაიმარჯვა. დამატებითი ბრძოლების შემდეგ გაირკვა დანარჩენი პრიზიორების ვინაობაც. ვერცხლის მედალს დაეუფლა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველი ი. რილსკი, „ბრინჯაოს" — მისი თანაქალაქელი უ. მავლიხანოვი. IV ადგილზეა თბილისელი მ. სახვაძე, V — ე. ჩერეპოვსკი (კიევი), ხოლო VI — ვ. ნაზლიმოვი (მახაჩყალა).

● პარიზი, 3 ივნისი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში დასასრულს უახლოვდება. ვაჟთა წყვილების ფინალში საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ნახევარფინალში ა. მეტრეველ — ს. ლიხაჩოვის წყვილმა წააგო რუმინელებთან ი. ნასტასე — ი. ცირიაკთან 1:6, 6:4, 6:3, 3:6, 1:6. სენსაციური იყო ავსტრალიელ მ. სმითის წაგება ამერიკელ ნ. რიჩეისთან — 1:6, 3:6. დიდ წარმატებას მიაღწია ვეტერანმა ი. გულიამმა (უნგრეთი), რომელმაც მოუგო სამხრეთაფრიკელ სპორტსმენს ა. დრისდეილს და ერთეულთა შეხვედრების ფინალში გავიდა.

● ხარკოვი, 3 ივნისი. აქ დაიწყო მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ტულისა და ადგილობრივ ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრა. გიტში 500 მეტრზე სვლით გაიმარჯვა ტულელმა ა. ცელოვალნიკოვმა — 30,5. 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ს. მოსკვინმა — 5.03,2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სპორტკავშირში
## ჯილდოები საუკეთესოებს

საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირის, კომკავშირისა და საზოგადოებრივი აქტივის დახმარებით მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს.

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების, უწყებების ნაყოფიერი მუშაობით რესპუბლიკის ფიზკულტურელთა რიცხვი 50 ათასი კაცით გაიზარდა და 942.377-ს მიაღწია, რაც მთელი მოსახლეობის 20,7 პროცენტს შეადგენს. „ჯანმრთელობის ჯგუფების", ტურიზმის, სპორტული თევზჭერისა და ნადირობის სექციებში გაერთიანებულთა რიცხვმა 13 ათასი კაცით იმატა. საწარმოო ტანვარჯიშში და შრომის რეჟიმში, ჰიგიენურ ტანვარჯიშში ახლა 680 ათასი მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე და მოსწავლეა გაერთიანებული, ეს კი წინა წელთან შედარებით 43 ათასით მეტია.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშან მოამზადეს 19 საერთაშორისო სპორტის ოსტატი, 240 სპორტის ოსტატი, 173 ოსტატობის კანდიდატი, 3374 პირველთანრიგოსანი და 144 ათასი სხვა თანრიგის სპორტსმენი, 155 ათასი მშთ ნიშნოსანი. ჩვენმა ათლეტებმა საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზობებში დაისაკუთრეს 100 მედალი. მათგან: 38 ოქროსი 29 ვერცხლისა და 33 ბრინჯაოსი.

საქართველოს სპორტკავშირმა შეაჯამა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებისა და თვითვალდებულებათა განაღდების შარშანდელი მაჩვენებლები.

I ადგილი მიეკუთვნა „**ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს**, რომელიც საქართველოს სპორტკავშირის გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

II ადგილზე გავიდა „**განთიადის" ცენტრალური საბჭო.**

III ადგილი მიეკუთვნა „**დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოს.** „განთიადი" და „დინამო" დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკავშირის გარდამავალი ვიმპელებითა და საპატიო სიგელებით.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ „**შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური** და „**კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოები.**

## საკავშირო სპორტკავშირში
### მედლები მწვრთნელებისთვის

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ მიიღო დადგენილება მწვრთნელების წახალისების მიზნით სპეციალური მედლის დაწესების შესახებ.

მედლებით დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებული სპორტსმენების (მოზრდილები, მოზარდები, ჭაბუკები) მწვრთნელები.

◆ რომი, 4 ივნისი. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი ტურნეს განაგრძობს იტალიაში. გენუის ყურეში მდებარე საპორტო ქალაქ სპეციაში ისინი შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს „ლერიჩი სპორტს". გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა — 4:2.

◆ ათენი, 4 ივნისი. სხვადასხვა მარკის 107 ავტომობილი გამოდიოდა საერთაშორისო რალიში „აკროპოლისი". შეჯიბრება მოეწყო საბერძნეთის გზებზე. ტრასა იმდენად რთული იყო, რომ ფინიშთან მხოლოდ 8 ავტომანქანა მოვიდა. პირველი იყო „კორტინა-ლოტოსი", რომელსაც მართავდა შვეციელთა ეკიპაჟი მძღოლი ბ. სონდერსტრომი. ს. ტენიშევმა და ვ. ლესოვსკიმ „მოსკვიჩის" ავტომანქანით 22-ე ადგილი დაიკავეს.

◆ მ ო ს კ ო ვ ი, 4 ივნისი. აქ გრძელდება სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი ფარიკაობაში. დღეს მოეწყო რაპირისტ ქალთა ასპარეზობა. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ცნობილმა სპორტსმენმა გ. გოროხოვამ.

# მაღარო, სადაც შრომაც უყვართ და სპორტიც

ტყიბულის ცენტრიდან ორიოდე კილომეტრია ვ. ი. ლენინის სახელობის მაღარომდე. იქ მისული სტუმარი პირველ ყოვლისა მშრომელთა პორტრეტებს შენიშნავს, რაც მაღაროელებს თვალსაჩინო ადგილზე გამოუკრავთ. ბევრ მათგანს მკერდს მთავრობის მაღალი ჯილდო უმშვენებს.

1400-კაციანი კოლექტივის ყოფა-ცხოვრებაზე, მათ შრომასა და კულტურულ გართობა-დასვენებაზე მოგვითხრობენ კლუბში გამოფენილი მასალები. ცალკე კუთხე აქვს დათმობილი სპორტის მიღწევების ამსახველ ფოტოებს. აქვეა რეკორდების ცხრილები, ჩემპიონთა სიები, სიგელები და ვიმპელები. მაუდგადაფარებულ მაგიდაზე აწყვია მაღაროელთა მიერ სხვადასხვა შეჯიბრებებში მოპოვებული თასები.

— ეს ახალგაზრდა ლ. ლაბაძეა, — პირველსავე შეხვედრას გვაცნობს ფიზკულტურის ინსტრუქტორი ჟ. გოგილაძე. — ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, რომ ჩვენთან თამაშობდა ფრენბურთსა და კალათბურთს. სკოლის დამთავრების შემდეგ კი ჩვენთანვე მოვიდა სამუშაოდ.

ლ. ლაბაძე გამონაკლისი როდია. სპორტით დაწყებულმა მეგობრობამ ბევრი დაამეგობრა შრომაშიც. ყოველწლიურად ათობით ახალგაზრდა ემატება მაღაროელთა კოლექტივს. ბევრი უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლობს დაუსწრებლად, ბევრიც აწი აპირებს. მაღაროს ხელმძღვანელობა დიდად ზრუნავს მათზე, — გვითხრა მაღაროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ო. კოლუაშვილმა. — წლეულს კიდევ მეტ სკოლადამთავრებულს მივიღებთ მათთვის შესაფერის სამუშაოზე.

ჩემპიონებს აქ ყველა იცნობს, მათი „კურთხევა“ საზეიმოდ ხდება თურმე.

ცვლის უფროსის მოადგილე გ. შიხაშვილი, დარაჯი ვ. სოფრომაძე, მექანიკოსი ლ. ლონდაძე, მაღაროელი ი. დვალი, ზეინკლები თ. ბიჭაშვილი, ვ. ფროლოვი, ლ. მუმლაძე და სხვ. მაღაროს ჩემპიონები და ნაკრები გუნდის წევრები არიან. ზოგი რაიონის ნაკრებ გუნდშიც გამოდის.

ჩემპიონებს სამუშაო უბნებზე ვეწვიეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სპორტი ჯანმრთელობის, ხალისიანი და ნაყოფიერი შრომის საწინდარია.

მაღაროელთა მიღწევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მოკლედ კი ასე შეიძლება ითქვას: 690 კაცი „განთიადის“ წევრია, მუშაობს 8 სექცია. დანერგილია საწარმოო ტანვარჯიში. ჯანმრთელობის ჯგუფში 120-ზე მეტი საშუალო და უფროსი ასაკის მაღაროელი მეცადინეობს. აქაური სპორტსმენები [illegible] კოლექტივებს შორის ყველა [illegible] რჩევლობენ. ფრენბურთელები ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური სპარტაკიადის შარშანდელი ჩემპიონები არიან. ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის ხელის შეწყობისთვის მაღაროს ხელმძღვანელი მუშაკები „განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ცოტა რამ სპორტული ბაზების შესახებ: ერთი კომპლექსური მოედანი ვერ აკმაყოფილებს მაღაროელ სპორტსმენთა გაზრდილ მოთხოვნებს. დარბაზი, სადაც ძალოსნები ვარჯიშობენ, არაჰიგიენური და მოუხერხებელია. მაღაროელი ახალგაზრდობა მზად არის საკუთარი ძალებითააგოს დარბაზი და მოაწყოს მოედნები, თუ საამისო ადგილს გამოუყოფენ.

ტყიბული. **თ. ბაჩეჩილაძე.**

# განიხილა კოლეგიამ

ახლახან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი: — „ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში, სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სპორტულ სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“. აღინიშნა, რომ ზუგდიდის განათლების განყოფილებამ (გამგე მ. ნარმანია) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სკოლებში სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობა. ბოლო წლებში აიგო 8 სპორტდარბაზი, დამაკმაყოფილებლად მუშაობს ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი გ. ლოგუა) და სხვ.

მაგრამ კოლეგიაზე ითქვა ისიც, რომ ზუგდიდის სპორტსკოლას დღემდე არა აქვს გამოსადეგი სატანვარჯიშო დარბაზი, არ გააჩნია ტანვარჯიშისათვის საჭირო ინვენტარი, მწვრთნელები არ არიან უზრუნველყოფილი ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამებითა და სათანადო მეთოდური ლიტერატურით. იმის გამო, რომ მცირეა კვალიფიციური მასწავლებლების რიცხვი, ამჟამად რაიონის რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზკულტურას ასწავლის 44 არასპეციალისტი. 48 რვაწლიან და საშუალო სკოლას არ აქვს დახურული ბაზა და უამინდობის დროს ფიზკულტურაში მეცადინეობას ვერ ატარებს. სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან სპორტინვენტარით. მაგალითად, ტანვარჯიშული იარაღებიდან მხოლოდ 4 სკოლას აქვს ტაიჭი, 16-ს ორძელი და 6-ს ხარიხა.

უმწეო მდგომარეობაშია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმე. შეიმჩნევა, რომ ხშირად მასწავლებლები გაკვეთილებს წინასწარ მოუმზადებლად, უგეგმოდ, სახელდახელოდ ატარებენ. რუხის რვაწლიანი სკოლის III კლასის მასწავლებელი მ. ქარდავა და ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი ნ. ჭკადუა ფიზკულტურისთვის განკუთვნილ საათებს არითმეტიკისთვის იყენებდნენ.

კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხზეც. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც ზუგდიდის რაიონის სკოლებში შექმნილი მდგომარეობა უახლოეს ხანში უნდა გამოსწორდეს.




# ჭიდაობას მარტო სარმა არ ჰყოფნის

თავისუფალ ჭიდაობაში ახლახან ჩატარებული საქალაქო პირველობის მოთავეებმა ცნობილი ქართული გამოთქმა — ჭიდაობას რა უნდა, ფეხის გამოკვრა უნდაო, ისე გაიგეს, თითქოს ამ სახეობაში შეჯიბრებისთვის მართლა მხოლოდ ფეხის გამოკვრა კმაროდეს. ალბათ ამიტომ არ შეიწუხეს თავი ასპარეზობის რიგიანად ჩატარებისთვის და თავისთავად კარგმა ღონისძიებამ უღიმღამოდ, უფერულად ჩაიარა.

... გასულ თვეში თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა დიდი ქაპანწყვეტა გადაიტანეს, მაისში გაიმართა სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშები, საქართველოსა და თბილისის ჩემპიონატები. რესპუბლიკური შეჯიბრება, ასე თუ ისე, ორგანიზებულად ჩატარდა, ამას ვერ ვიტყვით საქართველოს სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პირველობის შესახებ, მაგრამ დედაქალაქის ჩემპიონატმა ყველაფერს გადააჭარბა. რასაკვირველია, ამ ამბავზე მონაწილეთა სიმცირემაც იმოქმედა. ჭიდაობის დიდ გულშემატკივარსა და სპეციალისტსაც კი გაუჭირდებოდა პასუხი გაეცა კითხვაზე — ვინ გახდა თბილისის წლევანდელი ჩემპიონი უმძიმესა და მძიმე წონებში. საქმე ისაა, რომ ამ წონით კატეგორიებში ჩემპიონობა არ გათამაშებულა... მონაწილეთა გამოუცხადებლობის გამო. კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია!

არც მსაჯობა იყო ობიექტური. ჭიდაობის სიმართლის დამდგენნი აუღელვებლად შესცქეროდნენ როსტიაშვილისა და გავარდაშვილის ფინალურ ასპარეზობას. მათ გარდა ყველა მიხვდა, რომ ეს შეჯიბრება ფიქტიური იყო, მაგრამ ყოვლისმცოდნე მსაჯები მაყურებელს, აბა, როგორ დაუჯერებდნენ?! ასე იყო თუ ისე, ასპარეზობის თაოსნები კმაყოფილი დარჩნენ: შეჯიბრება ჩატარდა, სხვა რაღა გვინდა?

მაგრამ ვინმემ ხომ უნდა აგოს პასუხი პირველობის ასე ჩატარებისთვის?

მაინც გეტყვით, რომ წონითი კატეგორიების მიხედვით დედაქალაქის ჩემპიონები გახდნენ: გ. თოფურია, რ. ბაღდასარიანი (ორივე — „შრომითი რეზერვები“), თ. როსტიაშვილი („ლოკომოტივი“), თ. გოგოლაძე („სპარტაკი“), თ. მანაგაძე (ასკ), ბ. გოგნაძე („ლოკომოტივი“).

**ტ. ფილიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

# ადამიანის ჯანმრთელობისთვის

„ადამიანის ბუნების შეცვლა შესაძლებელია და იგი უნდა გარდავქმნათ კაცობრიობის სასარგებლოდ“ — დიდი რუსი მეცნიერის ი. მეჩნიკოვის ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული ეპიგრაფად ს. იანანისის წიგნს „ყოველდღიური ტანვარჯიში ქალებისთვის“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ტანვარჯიში სასარგებლოა როგორც ბავშვებისთვის, ისე ხანდაზმული ადამიანებისთვის. მაგრამ ყველამ როდი იცის რა დატვირთვით ივარჯიშოს, რომ ზედმეტი გულმოდგინებით დათვური სამსახური არ გაუწიოს საკუთარ ორგანიზმს. სწორედ ამ და ბევრი სხვა საკითხის გარკვევაში დაეხმარება მკითხველს ზემოდასახელებული წიგნი.

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა აგრეთვე — „ყოველდღიური ტანვარჯიში მამაკაცებისთვის“, წიგნის ავტორია ე. ჟურავლიოვი. ორივე წიგნის თარგმანი ბ. დარსაძეს ეკუთვნის.






სსრ კავშირის უძლიერეს მოკრივეთა ჩემპიონატი. სურათზე თქვენ ხედავთ ს. სტეპაშკინს, რომელმაც ნოკდაუნში გაგზავნა ი. ტრესტინი.

ფოტო ნ. კირსანოვისა.

# არჩევნების მიუძღვნეს

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჭადრაკო ჩემპიონატს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მიეძღვნა, წინ უსწრებდა სამმართველოების პირველობები, რომლებშიც 65 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ფინალში ერთმანეთს 16 გამარჯვებული შეხვდა.

უძლიერესის სახელი დაისაკუთრა მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომელმა ვ. მასხულიამ (13,5 ქულა).

**შ. გაინდურაშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## „ლელო“ წერილის კვალდაკვალ

### „უფლებააყრილი ათლეტები და „ვახტანგური“

„ლელოს“ 15 მაისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატში გამოვლენილ ხარვეზებზე. როგორც საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად შეესაბამება სინამდვილეს. სპორტკავშირმა მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო ღონისძიება დასახა.

# შენიშვნები მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატის თაობაზე

მოსკოვის სპორტის სასახლის რინგზე 6 დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის მოკრივეთა XXXII ჩემპიონატი. ასპარეზობის დაწყების წინ შეჯიბრების ორგანიზატორებმა გამოუშვეს პროგრამა, რომელშიც დაბეჭდილი იყო ტყავის ხელთათმანის რვა საუკეთესო ოსტატი — ოლიმპიური და ევროპის კონტინენტის ჩემპიონების პორტრეტები. ამ შეჯიბრებაში რვიდან მხოლოდ ორმა — ვ. აგეევმა და ა. იზოსიმოვმა შეძლო ასე თუ ისე თავიანთი კლასი დაემტკიცებინა, სამმა — ბ. ლაგუტინმა, ვ. პოპენჩენკომ და დ. პოზდნიაკმა, ჯერ კიდევ ტურნირის დაწყების წინ თქვა უარი გამოსვლაზე. ამ სპორტსმენების დადანაშაულება არ ღირს, შეიძლება ისინი ბრძნულადაც მოიქცნენ: რინგზე უნდა ახვიდე ყოველმხრივ შეიარაღებული, მეტოქეებსა და მაყურებლებს პატივი უნდა სცე. და აი, სამმა სხვამ — ო. გრიგორიევმა, ს. სტეპაშკინმა და ვ. ბარანიკოვმა, ალბათ, დაივიწყა ეს ჭეშმარიტება და დამარცხდა კიდეც. მათ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ „ოქროს მაძიებელი“ სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი II ქვესაშუალო წონაში ს. კირსანოვი, ნოვოსიბირსკელი სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის ექს-ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში ს. სივკო, ცნობილი უმჩატესი წონის მოკრივეები მ. მუხა და ვ. ლარიონოვი; ისინი, ვინც საბჭოთა სპორტის სახელს იცავდნენ ევროპის ბოლო ჩემპიონატში, აგრეთვე სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ვ. ბოტვინიკი, შარშანდელი პირველობის პრიზიორი ლიტველი ა. ზურზა და მძიმე წონის ვ. ემელიანოვი.

რასაკვირველია, უსამართლობა იქნებოდა ჩვენი ჩემპიონებისთვის მხოლოდ გამარჯვება მოგვეთხოვა და მათი პირველივე დამარცხება გამოუსწორებელ უბედურებად ჩაგვეთვალა. მაგრამ დამარცხება სხვადასხვანაირია. მაგალითად, სტეპაშკინს რომ ა. შაშკოვთან შეხვედრისას თავისი საუკეთესო საბრძოლო თვისებები გამოევლინებინა და მაინც დამარცხებულიყო, მას არავინ დაადანაშაულებდა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ასე არ მოხდა. სტეპაშკინზე წინათაც ლაპარაკობდნენ, რომ იგი

# ფიქრები

ზედმეტად სწორხაზოვანია ბრძოლაში, არ ფიქრობს დაცვაზე და არც ისე იშვიათად ანიჭებს უპირატესობას ძლიერი დარტყმის კულტს. მაგრამ, როცა შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო, ეს ნაკლი როგორღაც იჩქმალებოდა. და აი, წინანდელი გამარჯვებებით გათამამებულმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავს ნება მისცა რინგზე მოუმზადებელი გამოსულიყო (საიდუმლო როდია, რომ ხშირად სსრ კავშირის პირველობის მოპოვება დიდ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებაზე იოლი არ არის). შაშკოვი არ შეაცბუნა ტიტულირებული მეტოქის ავტორიტეტმა და დაამარცხა იგი.

სტეპაშკინზე ზემოთ ნათქვამი ცოტად თუ ბევრად ო. გრიგორიევსა და ვ. ბარანიკოვსაც შეეხება. ორივე უპატივცემულოდ მოეკიდა რინგზე ოპონენტებს და სულ მალე დაისაჯა კიდეც. განსაკუთრებით სასტიკი იყო გრიგორიევის დამარცხება. გასული წლის ჩემპიონატში მან დიდი გაჭირვებით მოუგო ტ. ტომაშევიჩს და ამდენად უნდა ეფიქრა, რომ სახიფათო მეტოქესთან ჰქონდა საქმე. გავიდა წელი და ტომაშევიჩმა შარშანდელი დამარცხებისთვის რევანში იზეიმა.

29 წლის ჩემპიონის დამარცხება გვაფიქრებს. შეიძლება თუ არა იგი მომაგრდეს მორალურად? სხვათაშორის, გრიგორიევმა და ბარანიკოვმა ბრძოლა არც თუ ძლიერ მეტოქეებთან წააგეს. უკვე მეორე ტურში ტომაშევიჩი და რინგის ვეტერანი ს. ლომაკინი გამოეთიშნენ ოქროს მაძიებელთა რიცხვს.

იქნებ დამარცხებულ ჩემპიონებზე უკეთესი თვისებები გამოავლინეს მათ, ვინც ყველა წინაღობა გადალახა და ფინალს მიაღწია? სამწუხაროდ, ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ ე. ფროლოვზე (I ქვესაშუალო წონა), რ. ტამულისზე (II ქვესაშუალო წონა), ვ. აგეევზე (I საშუალო წონა), ქვემძიმე წონის ა. კისელიოვზე (დავძენთ, რომ მის დღევანდელ კლასზე ძნელია ერთბაშად იმსჯელო, რადგან კისელიოვს არც თუ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა) და ა. იზოსიმოვზე (მძიმე წონა). შეიძლება ამ ჯგუფში შევიყვანოთ ვ. ფროლოვიც, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაატარა მთელი ტურნირი და ვერცხლის მედალი მოიპოვა I ქვესაშუალო წონაში.

სად არიან ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენები? თუ არიან, რატომ არ გვახარებს მათი გამარჯვებები?

პირველ ორ წონით კატეგორიაში არ იყო არც ერთი ტიტულირებული სპორტსმენი. არ იყო არც ერთი, ვინც შარშან წარმატება მოიპოვა ახითივე ჩემპიონატში. უმჩატეს წონაში უძლიერესი იყო ი. ლეშჩევი. კრივის მოყვარულებს ეს სახელი ბევრს არაფერს ეუბნება. გვახსოვს რა ბრწყინვალედ ავიდა რინგზე თავის დროზე ა. ბულაკოვი და შემდეგ დიდხანს ფლობდა ჩემპიონის სახელს. შეიძლება დავასახელოთ ვ. სტოლნიკოვი და ვ. ბისტროვი. ისინიც თვითმყოფადი ოსტატები იყვნენ თავიანთი ტექნიკისა და ბრძოლის მანერით. ი. ლეშჩევის ხელწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2 გამარჯვება დიდი ანგარიშით

„ბ“ კლასი II ზონა

## თბილისელებმაც...

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 4 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 4:0 (3:0).

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, ძაგანია, ისიანი, მაზიაშვილი, კაიშაური (ჭელიძე); ახალკაცი, გავაშელი.

„შირაკი“: დემერჩიანი, პოპოიანი, აირაპეტიანი, ხემერჯიანი, ბარსეგიანი, ტონოიანი, იშტოიანი, ხესემიანი, ბაბაიანი, ზანაზანიანი, ჩზმაზტიანი.

მსაჯი ე. ბორისოვსკი (მოსკოვი).

„ლოკომოტივმა“ თამაში დაიწყო ისე, რომ მოწინააღმდეგეს პირველივე წუთებიდან არ მისცა შეტევის წარმოებაზე ფიქრის საშუალებაც კი. „შირაკის“ საჯარიმო მოედანზე ზედიზედ გათამაშდა რამდენიმე სწრაფი, სახიფათო კომბინაცია, რომელთაგან ერთ-ერთი გოლით დაამთავრა კაიშაურმა მე-11 წუთზე — 1:0.

თბილისელთა იერიშები წუთითაც არ შენელებულა და 21-ე წუთზე მაზიაშვილმა საკმაოდ შორი მანძილიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი ლენინაკანელთა კარში — 2:0. ტაიმის დასასრულს კაიშაურისა და მაზიაშვილის მიერ გათამაშებული ბურთი გადაეცა ძაგანიას, რომელმაც ძლიერი, ეფექტური დარტყმით ანგარიში 3:0-მდე აიყვანა.

გამარჯვება ფაქტიურად განაღდებული იყო და თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში ახალკაცმა ვერ გამოიყენა პენალტი, სტუმრებს მაინც მოუხდათ მეოთხედ დაეწყოთ თამაში ცენტრიდან. ეს გოლი გაიტანა ისიანმა — 4:0.

**ლ. ჯანელიძე.**

## ბათუმელებმაც...

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 4 ივნისი.

„დინამო“ (ბათუმი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 5:0 (4:0).

„დინამო“: კვახაძე, კობიაშვილი, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, დიმანტოვი (გაგუა), ვერულიძე, ილურიძე, კონიაშვილი, გიორგაძე, ქიქავა.

„ტრაქტორი“: ზაბოლოტნიკოვი, კოტოპულო, კოვაჩი, დერგაჩი, ფიოდოროვი (იანინი), ვტიურინი, რებროვი, ბორისენკო, პოგორელოვი, ორლოვი, საველიევი.

მსაჯი ტ. ველიევი (ბაქო).

გუშინდელი მატჩის წინ „ტრაქტორს“ მეოთხე ადგილი ეკავა გათამაშების ცხრილში, მაგრამ მას სწორედ ეს შეხვედრა ჰქონდა თადარიგში და გამარჯვების შემთხვევაში გუნდს კიდევ უფრო მაღლა ასვლის საშუალება ეძლეოდა.

ამიტომ გასაგებია, თუ რა განწყობილებით გამოვიდოდნენ მინდორზე ვოლგოგრადელები: მხოლოდ მოგების სურვილით. მაგრამ სწორედ გუშინ აჩვენეს ბათუმელმა ფეხბურთელებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობანი, მონდომება და სწრაფვა გამარჯვებისადმი. ისინი თამაშობდნენ შეთანხმებულად, კოლექტიურად, ლამაზად. ჯერ კიდევ მე-5 წუთი მიმდინარეობდა, როცა ქიქავამ ზუსტად გამოიყენა ვერულიძის გადაცემა, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ზაბოლოტნიკოვმა მეორე ბურთი გამოიტანა ბადიდან. ეს იყო ვერულიძის მიერ შესრულებული 11-მეტრიანი — 2:0.

„ტრაქტორმა“ სულ რამდენიმე კონტრშეტევის განხორციელება შეძლო, დანარჩენ შემთხვევაში თამაში სტუმრების ნახევარზე მიმდინარეობდა. ტაიმის დასასრულს გიორგაძემ ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი და დინამოელები შესვენებისთვის წინ იყვნენ დიდი ანგარიშით — 4:0.

მეორე ტაიმში ბათუმელთა იერიშები საგრძნობლად დაცხრა, თამაში ჩაებნენ მცველები და მეკარე კვახაძე, თუმცა „ტრაქტორის“ კარის ბომბარდირება ამით არ ამოწურულა. 75-ე წუთზე გაგუამ საბოლოოდ გაუსვა ხაზი თავისი გუნდის გამარჯვებას — 5:0.

ამ მატჩის წინ „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ქუჩების ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური შეხვედრა: შარშანდელი საკავშირო გათამაშების ფინალისტმა „გაზაფხულმა“ ანგარიშით 4:1 დაამარცხა „თეთრი ეშმაკუნები“.

**ვ. მოსეშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

„ბ“ კლასი IV ზონა

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში გაიმართა მორიგი მატჩები საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. აი, რას გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები:

### რუსთავიდან

ადგილობრივი „მეტალურგის“ მატჩი პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელთან“ სწრაფი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მე-10 წუთზე დავითულიანს ჰქონდა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ მისი გადამწყვეტი დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. ცოტა ხანში „მეტალურგის“ მეკარე ჩუხუას მოუხდა ძნელი ბურთის აღება.

მაგრამ მალე ინიციატივამ მთლიანად მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა და თუმცა პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, შესვენების შემდეგ „მეტალურგმა“ შეძლო თავისი უპირატესობის რეალიზაცია. ჯერ იობიძემ, ხოლო შემდეგ დორეულმა მასპინძლებს მოუტანეს დამსახურებული გამარჯვება — 2:0.

**რ. გაბრიჩიძე.**

### გორიდან

გორის „დილისა“ და მახაჩ-ყალის „დინამოს“ მატჩის პირველი 20 წუთი მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. შემდეგ გორელებმა გააძლიერეს იერიშები და ერთ-ერთი მომენტი შეეძლოთ გოლით დაემთავრებინათ: დინამოელთა კარის პირისპირ აღმოჩნდა თავდამსხმელი ტყემალაძე და მეკარე ქირიამ შეძლო ეხსნა გუნდი აშკარა ხიფათისაგან.

განსაკუთრებით ხელსახები იყო „დილის“ უპირატესობა მეორე ტაიმში. გუნდი უტევდა დიდ ხანს, მწვავედ, მაგრამ, როგორც ადრე ჩატარებულ მატჩებში, ფორვარდები ვერ იყენებდნენ უაღრესად ხელსაყრელ მომენტებსაც კი. სწორედ მათი არაზუსტი დარტყმების გამო შეძლეს სტუმრებმა მატჩის ფრედ დამთავრება — 0:0.

**გ. გოზალიშვილი.**

### ფოთიდან

ფოთის „კოლხიდის“ სტუმარი გუშინ იყო ზუგდიდის „ენგური“. ანგარიში მე-20 წუთზე გახსნა ჯიბლაძემ („კოლხიდა“), რომელმაც 25 მეტრის მანძილიდან კარში გაგზავნა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი — 1:0.

საერთო უპირატესობა ფოთელთა მხარეს იყო, მაგრამ მეორე ტაიმში ხარჩილავამ კარგად გამოიყენა კუთხურიდან დარტყმული ბურთი და თავით გაგზავნა იგი კარში — 1:1.

ფოთელები კარგახანს უტევდნენ მეტოქეს და ბოლოს შედეგსაც მიაღწიეს: ჯიბლაძე — კალიუჟნოვის კომბინაცია გოლით დაამთავრა ამ უკანასკნელმა. გაიმარჯვა „კოლხიდამ“ — 2:1.

**ა. ლომაია.**

### გურჯაანიდან

საუცხოოდ ჩაატარეს გურჯაანის „ალაზნის“ ფეხბურთელებმა გუშინდელი მატჩი. მათი მეტოქე იყო ზონის ლიდერი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

გურჯაანელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ძლიერი მოწინააღმდეგე.

### ტყიბულიდან

გამარჯვებათა გზით სიარულს განაგრძობს ტყიბულის „მეშახტე“. ტყიბულელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დერბენტის „ეროვაი“ და მოუგეს მას ანგარიშით 3:0.

## ჩვენი მეტოქე — საფრანგეთის ნაკრები

დღეს მოსკოვში ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები — მსოფლიო პირველობის ფინალისტები. განსაკუთრებულ ინტერესს მატჩისადმი იჩენს ინგლისის პრესა, ვინაიდან ინგლისელებს საფრანგეთის ნაკრები თავიანთ ქვეჯგუფში მთავარ მეტოქედ მიაჩნიათ.

საფრანგეთის ნაკრები უკანასკნელ წლებში კრიზისს განიცდის. ალბათ, არ არსებობს ნაკრების სხვა მწვრთნელი, რომელსაც მისი ქვეყნის პრესა აკრიტიკებდეს ისე, როგორც ფრანგების მწვრთნელს ა. გერენს. მას აბრალებენ ნაკრებში „ბეტონის“ შემოღებას და სხვა ათას ცოდვას. განსაკუთრებით ბევრს ლანძღავდნენ გერენს საფრანგეთის გაზეთები უკანასკნელი თვის მანძილზე ბელგიასთან წაგების (0:3) შემდეგ, როცა ნაკრების 40 კანდიდატს შორის მან არ შეიყვანა ცნობილი ვეტერანი რ. კოპა.

თუ წინათ გერენი ქვეყნის ჩემპიონის „ნანტის“ მიმართ გულგრილობას იჩენდა (ნაკრებში 2 ნანტელი იყო), ახლა გუნდში ჩემპიონის 4 ფეხბურთელი თამაშობს: ცენტრფორვარდი გონდე (33 გატანილი გოლი ეროვნულ ჩემპიონატში), სტოპერი ბუძინსკი, მარჯვენა გარემარბი ბლანშე და მეკარე ეონი. სხვათა შორის, მატჩი მოსკოვში ეონისთვის ნაკრებში დებიუტი იქნება. მარცხენა ფრთაზე გამოვა გამოცდილი ოჟერი. წელს მას ნაკრებში არ უთამაშია და პრესის აზრით გერენი გარემარბს კიდევ ერთხელ უპირებს გასინჯვას.

ამ დღეებში გერენმა სპორტულ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „მოსკოვში უნდა გავსინჯო დაცვის ახალი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ერბენი ითამაშებს ბუძინსკისა და არტელეზას უკან“.

დაცვა ფრანგების შედარებით ძლიერი რგოლია. ორივე სტოპერი — ბუძინსკი და არტელეზა ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელებია, არც მარჯვენა მცველი ჟორკაევი და მარცხენა მცველი შორდა თამაშობენ ნაკრებში პირველად.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მომენტი საერთაშორისო ამხანაგური მატჩიდან საფრანგეთისა და იტალიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. მარცხნიდან, თეთრ მაისურებში — იტალიელთა თავდამსხმელები მაცოლა და რივერა. მუქ მაისურებში — საფრანგეთის ნაკრების მცველები: არტელეზა, ბუძინსკი და შორდა.



## გუშინ...

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა ესტონეთი — საქართველოს მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩის I ტური. შესანიშნავად ითამაშეს მასპინძლებმა: ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო მ. სამულს, ე. კაკაბაძემ — ა. კუკკს, ნ. ალექსანდრიამ — ვ. კალასს, ა. ბუსლაევმა — რ. ეტრუკს, თ. გიორგაძემ — ხ. ლუიკს, ა. ბოკუჩავამ — რ. აასას. ყაიმით დასრულდა თ. ლომაია — ვ. როყდესტვენსკის შეხვედრა. 3 პარტია გადაიდო.

# გონგის შემდეგ

რაზე კი ჯერჯერობით არაფრის თქმა შეიძლება.

მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ვ. ბენდალოვსკი. იგი მაღალია, გრძელხელება. კარგად ესმის რა უპირატესობას აძლევს ეს თვისებები და გონივრულად სარგებლობს ამით. მაგრამ, აი, მეტოქედ რომ ნოვოსიბირსკელ დინამოელს პ. გორბატოვზე უფრო გამოცდილი მოკრივე ჰყოლოდა, მაშინ, მართლაც, შეიძლებოდა კიევლი სტუდენტის ოსტატობაზე საფუძვლიანი მსჯელობა.

შესანიშნავი იყო გამოცდილი სპორტსმენის ა. შაშკოვის (ქვემსუბუქი წონა) გამოსვლა. ორი დღის განმავლობაში მან წარმატებით გადალახა ორი სპორტის დამსახურებული ოსტატის, ტოკიოსა და რომის ოლიმპიადების პრიზიორების, ევროპის ჩემპიონების ს. სტეპაშკინისა და ს. სივკოს წინააღმდეგობა. მისი მთავარი კოზირი გაანგარიშება, სიდინჯე და ამასთან, კარგი ფიზიკური მომზადებაა.

კიდევ უფრო კარგი იყო ე. ფროლოვი (I ქვესაშუალო წონა). იგი, მართლაც, ჩვენს თვალწინ ოსტატდება. მისი ასპარეზობა ვ. ფროლოვთან ჩემპიონატის დასკვნითი დღის გვირგვინი იყო. მეტოქის ბრძოლის ეფექტურ მანერას ე. ფროლოვმა არითმეტიკული სიზუსტე, სიდინჯე და კარგი სპორტული მოსაზრებულობა დაუპირისპირა.

ვერაფრით გაგვახარა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა მსუბუქ წონაში გ. ნიკანოროვმა. იგი აშკარად არ იყო ფორმაში.

ვაჟკაცურად იბრძოდა რინგის ვეტერანი რ. ტამულისი. აი, ვის შეუძლია მისცეს გამძლეობისა და თავდაჭერის გაკვეთილი ყველა დანარჩენ მონაწილეს! მან არც თუ დიდი წარმატებით დაიწყო ასპარეზობა (პირველი რთული შეხვედრა მ. თათევოსიანთან ჰქონდა), მაგრამ ფინალამდე საუკეთესო ფორმაში ჩადგა და მისმა ბრძოლამ ნიჭიერ სპარტაკელ ი. პასტუნთან აშკარად დაამტკიცა სახელმოხვეჭილი ჩემპიონის შესანიშნავი ოსტატობა. მძიმე შთაბეჭდილება დატოვა II საშუალო წონის მოკრივეთა გამოსვლებმა. ამ წონაში სულ ცოტა ხნის წინათ გამოდიოდნენ ბრწყინვალე მოკრივეები გ. შატკოვი ე. ფეოფანოვი და ვ. პოპენჩენკო. ამიტომ ეს კატეგორია მრავალი წლის განმავლობაში არ გვაღელვებდა. ახლა კი საკმარისია დაამთავროს სპორტული კარიერა ვ. პოპენჩენკომ და მას ვერავინ შეცვლის. არა მგონია, ამ ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, 22 წლის მოსკოველმა ნ. როგაჩოვმა შეძლოს უახლოეს ხანებში ხელთ აიღოს შატკოვისა და პოპენჩენკოს დიდების კვერთხი, ხოლო 1966 წლის ჩემპიონი კი გ. სოლომონოვი აღარც ისე ახალგაზრდაა და არც თუ სტილი აქვს მაინცდამაინც პროგრესული.

ვფიქრობ, კრივის საკავშირო ფედერაციამ დიდი შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინა, როცა ამ ჩემპიონატის ფინალში სსრ კავშირის 20 უძლიერესი მოკრივის პერსონალური დაშვების შესახებ დადგენილება მიიღო. მათ არ გაუვლიათ შერჩევითი ასპარეზობები და ამიტომ არც იყვნენ მზად. ასეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ოცეულიდან ბევრი ჩემპიონატს უყურებდა როგორც პატარა გასეირნებას კიდევ ერთი ოქროს მედლის მოპოვების გზაზე. სინამდვილე უფრო მკაცრი გამოდგა. ბევრი ახის რეპუტაციამ დიდი კრახი განიცადა 16 მაისის შემდეგ. მისი აღდგენა იოლი საქმე როდია.

არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ეროვნულ ნაკრებთა აღმზრდელებმა საგრძნობლად განაახლეს თავიანთი „შესანიშნავი ათეულები“. ისინი ევროპის ჩემპიონატებს, რომლებიც ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს ტარდება, „ახალმუდათა გასასინჯად“ იყენებენ და არც თუ დიდად იწუხებენ თავს, რომ ოქროს მედლების რაც შეიძლება დიდი რიცხვი დააგროვონ. სამაგიეროდ, კონტინენტის ჩემპიონატი, რომელიც წინ უსწრებს ოლიმპიადას, მათთვის გენერალური რეპეტიციაა. ახალგაზრდა მოკრივეები ორი წლის განმავლობაში ჩინებული ოსტატები ხდებიან. ჩვენი ნაკრები კი 1963 წლიდან არ შეცვლილა. მწვრთნელებს შეიძლება გაუგო. მართლაც, ძნელია გადაწყვიტო გუნდის შემადგენლობის განახლება მრავალ ქარე გამარჯვებების შემდეგ. მაგრამ ეს მაინც უნდა გაკეთდეს.

მიმდინარე სეზონის საკავშირო პირველობამ ბევრი ახალგაზრდა მოკრივე მოიზიდა. ეს კარგია, მაგრამ ნაკრების მაისურის ტარება მათ ჯერ მაინც არ შეუძლიათ. საამისოდ ისინი არ არიან დაოსტატებული. დრო კი არ ითმენს. ევროპის პირველობა კარს მოგვადგა. ამ შეჯიბრებაზე გამოჩნდება, როგორა ვართ მომზადებული მეხიკოს მოკრივეთა ტურნირისთვის.

მართლაც, სსრ კავშირის ჩემპიონატმა ახალი საზრუნავი შემატა ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებს.

**მ. გუსევი,**
**სპორტის ოსტატი.**

# ქართული ოლიმპიური თამაშები?

გაზეთ „დროების“ 1882 წლის 17 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია სოფელ ხიზაბავრიდან გამოგზავნილი მეტად საინტერესო და საგულისხმო კორესპონდენცია ავტორი — „ვინმე მესხი“ (ივანე პავლეს ძე გვარამაძე) დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ძველ საქართველოში, კერძოდ, მესხეთში, იმართებოდა ოლიმპიური თამაშობანი (ბერძნულის მაგავსი).

„მთელი სათალახ-ხეობისა და მუსხისა სარბიელი (ასპარეზი) ეს ზველის მინდორ-ვაკე ყოფილა. სამ წელს აქ მოიყრიდა თურმე თავს ერობა, ყმაწვილიერებში სავარჯისოდ, ვაჟკაცების გამოსაცდელად და სხვ. დახელოვნებულ სამამაცო ზნეობაში. არჩევდნენ თავ გმირებს და მეოთხე წელიწადს გარდაიდოდნენ ვანის მთისაკენ ცხრა-წყაროს ველობზედ და იქ შესრულდებოდა საქვეყნო ოლიმპიური თავ-გამოჩენილი ვარჯისი.

ზველიდან მეორე გზა გარდმოვა სოფ. ერკოტას. აქაც მართლ-მადიდებელნი არიან 14 მოსახლე და ერთიც მაჰმადიანი. ერკოტა სახელი ნიშნავს ერის — კოტაობას (ვარჯისს, თუ კეჭნაობას).

ხერთვისის ხეობასაც აქ სცოდნია თავ-მოყრა და დახელოვნება ყოველ წლივ საგმირო ზნეობაში და მეოთხე წელს თურმე ესენიც გარდმოდიოდნენ ცხრა-წყაროს საქვეყნო ყრილობაში თავ-თავიანთ ვაჟკაცების თავ-გამოსაჩენად!..“

როგორც ხედავთ, თურმე მოვარჯიშენი 3 წლის მანძილზე საგანგებო წვრთნას გადიოდნენ (მითითებულიცაა წვრთნის ადგილი), მეოთხე წელს კი (ისე, როგორც საბერძნეთში) თავს იყრიდნენ „ცხრა-წყაროს ველობაზე“.

ავტორი ამტკიცებს, რომ ქართულ ოლიმპიადებს ბევრი ჰქონდა საერთო ბერძნულთან. „უწინ, — ამბობს იგი, — ძველის-ძველად ბევრ ნაირი საგმირო ვარჯისები იყო ჩვენს სამესხო საქართველოში, რომელთ უმეტესი ნაწილი დღესაც არის დაშთენილი, უფრო სამესხეთოს ერობაში არგონავტსანთ შემოსვლისას კოლხიდაში 1260 წლის წინ ქრისტეზედ განითქვა ბერძნული ვარჯისობა, იაზონის თანხლებული გმირებისაგან დაშთენილი; იმ დროს ხმარებულს ბერძნების საგმირო ვარჯისები პირველი იყო „არგიული“, რომელიც შემოვიდა კოლხიდაში, მეორე „ისტიმიური“, მესამე „ბივთიური“, მეოთხე „ნემეიური“. ეს ვარჯისები შემდგომში ელისელმა იბიტომ გარდააკეთა „ოლიმპიურ“ ვარჯისად, ოლიმპოს ქალაქის მახლობლად 888 წლის წინათ ქრისტ. და ამისთვის მიიღო ოლიმპიის წოდება. მით მისი ქორონიკონი დაწესდა 776 წლის წინ ქრისტეზედ“.

შემდეგ დახასიათებულია ქართული ოლიმპიური თამაშების პროგრამა, რომელიც ზედმიწევნით ჰგავს ბერძნულს. აი, ამ პროგრამის ავტორისეული აღწერა:

„ა). ჭიდაობა ჯერ ტანისამოსით და შემდეგ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა. ზეთს წაისვამდნენ წელ-ზემოთ და წმიდა სილას (ქვიშას) შეიყრიდნენ ტანზედ, რომ შესძლებოდათ ხელის მოკიდება.

ბ). მჯიღვით ბრძოლა. მაგარ ტყავის თათმანებს ჩაიცვამდნენ თითბერით მოჭედილს და ისე ურტყამდნენ ერთმანეთს თავ-პირში.

გ). მხარდავერდა. ორად გაიყოფოდნენ ხელ-ფეხ მარჯვე ვაჟნი; ერთი რიგი წრეს შიგნით იყო, მეორე წრეს გარეთ. უკანასკნელნი ცდილობდნენ საშურად ჩაჩი მოეტაცათ შიგანაებისაგან და ისინიც მოოთხვით ერთსა და ერთ ფეხს გარდასცხემდნენ. წრეს გარედ, თუ მოერტყმით, ის მხარე გაჭრილად დაითვლებოდა; მაშინ გარენი წრეში შევიდოდნენ და შიგანები გარედ მოექცეოდნენ, როცა გარე რომელიმე ჩაჩს მოსტაცდა შიგანს, გაცვინდებოდნენ გარენი ერთიან დანიშნულ დონამდის გასატანად, შიგანებიც დაედევნებოდნენ, დონამდის თუ დაიჭერდნენ, ჩაუფუჭებდნენ გარეებს გამარჯვებას, თუ არა და გარენი თავისას გაიტანდნენ.

დ) ქოფი აქაც წრეში შესულთ მხარესა ერთი შრეს შუა ამოთხრილს ფოსში ჩასდგამდა ფეხს; გარეთაგანი, რომელიც ამას ფეხითგან ფეხს მოაცვლევინებდა და თვითონ ჩასდგამდა, მისი მხარე მოიგებდა.

ე). ქალის გაქცევანი. ჩუმად აქეთა მხარი რალაცა ნიშნიან მჩვარს დამალავდნენ ერთ ერთში და რომელიც გაქცევაში ერთის დონითგან მეორე დონეზედ გაიტანდა, ის გაიმარჯვებდა.

ვ). ბურთობანი.

ზ). რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ ეტლებით.

თ). თულო წრე.

ი). ქვის სროლა ფიქალისა ორის ხელით თუ ლოდებისა აწევ-დაწევა. ამათ რიცხვში ისრის სროლა და ჯირითისა“.

პროგრამის აღწერის შემდეგ ავტორი ხაზგასმით მიუთითებს: „აი, ეს ვარჯისები სრულდებოდა ცხრა-წყაროს“.

ისე, როგორც საბერძნეთში, ცხრა-წყაროზე „გამარჯვებულს ფიჭვის ტოტებიდან შედგენილის გვირგვინით დააჯილდოებდნენ, ან დაფნისა და ან ძეწნისა“.

ავტორის გადმოცემით, თამაშობის მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისეთ ვარჯიშებშიც, როგორიცაა: „კუნძის თრევა, მძიმე ნივთების აწევა, ხტომა, თავმოვლა, ჯორებუნა, ციხებუნა და სხვა მრავალგვარი, რომელიც დღესაც ხმარებულია დიდი წილი სამესხეთში თითქმის ყოველგან“.

„მაგრამ, — შენიშნავს კორესპონდენციის ავტორი, — დღითი-დღე ცვდება ეს დიდად სასარგებლო ჩვეულება საზოგადოდ და დავიწყებაზედ მიდის. სახელმწიფო გარდასახადი, უსინდისო მოხელე, ნეზობლის ჩაგვრა, მოსამართლეების ქრთამი, ბატონის სამსახური, მღვდლის სამლოცველო და მისთანები ათას სულ გლეხობის ზურგას ტვირთად არის გამხდარი. იმათ ზიდვას ველარც კი ასვლია და სათამაშო სავარჯიშოდ სადა სცალია?“

ძნელია კიდევ რამე კომენტარი გაუკეთო ზემოთმოტანილ მასალას. საქმე ისაა, რომ საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიის წყაროებში არსადაა მინიშნებული დიდ თამაშებზე, რომელიც, ავტორის სიტყვით, ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, ქართული ოლიმპიადის ჩატარების ადგილზე და კორესპონდენციაში ნახსენებ სპორტის ზოგიერთ სახეობაზე (შიშველი ჭიდაობა, „ქალთა გაქცევანი“ და ა. შ).

სამწუხაროდ, ავტორი არ ასახელებს არც ერთ წყაროს, საიდანაც ეს ცნობები აიღო, არც იმას ამბობს, სარგებლობდა თუ არა ადგილობრივ მცხოვრებთა ზეპირი გადმოცემებით.

ასეა თუ ისე, საქმე გვაქვს მეტად საგულისხმო ცნობასთან, მართალია, ავტორს ზოგიერთი უზუსტობა დაუშვია და ამდენად, ძნელია ამ ცნობის უტყუარობაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი კი ცხადია: ჩვენმა ისტორიკოსებმა მასში შეიძლება დრო-ჟამისგან შეკრული კვანძები მონახონ, რომელთა გახსნა კიდევ მეტ ნათელს მოჰფენს ჩვენი ერის კულტურულ წარსულს

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის დეკანი.

# იქნებ ასეც ჯობდეს




1960 წლის სპორტულ ცხოვრებაში დიდი გადატრიალება მოხდა, — რომის ოლიმპიურ სარბიელზე ახალზელანდიელმა პიტერ სნელმა, შემდეგში „შავ პიტერად“ წოდებულმა, 800 მეტრზე რბენა მოუგო მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს.

ამავე დღეს, მეორე ახალზელანდიელმა 5000-მეტრიან დისტანციაზე დიდი მანძილით გაუსწრო ყველა დანარჩენ სპორტსმენს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ზოლი. ეს გახლდათ მურეი ჰალბერგი.

1963 წელს ულიამ ბაილმა გააუმჯობესა ორი მსოფლიო რეკორდი 20 კმ-ზე და ერთსაათიან რბენაში, რომელიც მანამდე ე. ზატოპეკს ეკუთვნოდა. ბაილიც ახალზელანდიელი იყო.

...მისტერ ნორმან ჰარისი ახალგაზრდა კაცია. რომ ლაპარაკობს, თვალები, ჩვეულებრივ, მხიარულად უბრწყინავს. სწორედ მისტერ ჰარისისთანა კაცზე იტყვიან, ქვეყნად არაფერი დაემალებაო. იგი სპორტული ჟურნალისტია და პიტერ სნელის მეგობარი, ცხოვრობს აუკლანდში და ყველა ის პრობლემა, რაც თანამედროვე სპორტს ეხება, მისი გონების საზრუნავს წარმოადგენს.

— პირველ ყოვლისა, — დაიწყო ჰარისმა ირონიული ღიმილით — მინდა გავფანტო აზრი, რაც ამერიკელებს და ინგლისელებს აქვთ ჩვენი ქვეყნის შესახებ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი ზელანდია სრულიადაც არ არის მკვდარი ქვეყანა, როგორც ამას ბევრი ტურისტი ამტკიცებს. მათ, უბრალოდ, სილამაზის გრძნობა აქვთ დაკარგული და არ შეუძლიათ ყურადღება დიდხანს შეაჩერონ ერთ რომელიმე საგანზე. გვსაყვედურობენ, რომ გულღიად არ ვხვდებით სტუმრებს, რომ ჩვენი ბარები საღამოს 6 საათზე იკეტება, არა გვაქვს გართობა, კულტურა და, რომ მათ ნახეს რესტორანში ახალგაზრდა წყვილი, რომელსაც ერთმანეთისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, დიახ, სწორედ ასეთი ტურისტები ბრუნდებიან შინ და ტბილის ამბით მსჯელობენ ახალ ზელანდიაზე: — რა გითხრათ, არის ცოტაოდენი ბუნება და ცარიელი მაღაზიები.

მაგრამ იმ დროს, როცა ისინი ღრმა ძილს არიან მიცემული, ქალაქს უკვე ღვიძავს. იღვიძებს იგი დილის 6 საათზე...

ჩვენ, ე. ი. მე და ჩემი მეგობრები ვდგებით 6 საათზე, სწრაფად ვიცვამთ სპორტულ ტანსაცმელს, სპეციალურ ფეხსაცმელს და გამოვდივართ გარეთ მაშინაც კი, როცა მოღრუბლულია და ცივა. ჩვეულებრივ ვიწყებთ ორნი, დავრბივართ ცარიელ ქუჩებში. მერე დანარჩენებიც გვიერთდებიან. ახლა უკვე ექვსნი ვართ, მერე ათნი, თუ რომელიმეს აგვიანდება. მის სახლთან ვგროვდებით და მხიარული შეძახილებით ქვებს ვესვრით სახურავს, სანამ ფანჯარაში ჩვენი ამხანაგის მძინარე სახე არ გამოჩნდება.

ვტოვებთ ქალაქს, რბენით გადავკვეთთ ავტოსტრადას, რაც საერთოდ დაუშვებელია, ცოცვით გადავდივართ ღობეებზე და ქალაქგარეთ გავდივართ. ქალაქის განაპირა ტერიტორია გოლფის სათამაშო მოედანი ან ოქროსფერი მდელო არ გეგონოთ. მისი ლანდშაფტი ტიპიურია ახალზელანდიისთვის: — საძოვრები, მწვანე, ნესტიანი, კოჭამდე ბალახი, ჭაობიანი ადგილები, ეკლიანი ბარდები, მაყვლის ბუჩქები, შეხებისას საშინლად რომ იკბინებიან და ბოლოს, ბორცვები, რომლებიც ცხვრებისთვის საუცხოოა; ჩვენთვის კი რა მოგახსენოთ — ამაში ბევრჯერ დავრწმუნებულვართ.

ეს ბორცვები დიდ ჯაფას გვაყენებს. ზოგი ვერ უძლებს და ნაბიჯით მოჰყვება, მაგრამ ის, ვინც თავშია, ქურციკივით არბის აღმართზე. ჩვენი ქლოშინის ხმა ექოს გამოცემს მოპირდაპირე ფერდობიდან. გგონიათ შევჩერდებით? — არავითარ შემთხვევაში, ამაზე არავინ ფიქრობს, რადგან ვიცით, რომ სიმაღლე დაძლეული იქნება.

ჩვენც ერთხმად ვიცინით, ვხუმრობთ. ასე შეუმჩნევლად გადის ორი საათი. თანაბარი ტემპი არა გვაქვს: ხან ნელა, ნაბიჯით მივდივართ, ხან სწრაფად. სიმაღლეზე ასვლისას ვიფშნტებით. თავდაღმართზე, გორაკის ძირში ისევ ვიკრიბებით, ვძვრებით ღობეში, გავდივართ საძოვრებზე. ბოლოს, ქალაქის გარშემო ერთ დიდ წრეს ვაკეთებთ გორაკებისა და მდელოების გავლით და გაოფლილნი და ტალახში ამოსვრილნი ვბრუნდებით უკან.

ამჯერად მხოლოდ ერთი მიზანი გვამოძრავებს: — უახლოეს ბუფეტთან ვჩერდებით, ყინულივით ცივ ლიმონათს ვყიდულობთ, შინ მიგვაქვს, კიბეზე ვსხდებით, ნელ-ნელა ვსვამთ და თან მშვენიერი დილით ვტკბებით.

9 საათზე ისე, როგორც ყველა სხვა, სამუშაოდ მივდივართ.

ჩვენ არც მასაჟისტი გვყავს, არც მწვრთნელი, არც ხელმძღვანელი. თავად ვართ ჩვენი თავის პატრონნი. ახალ ზელანდიაში ბევრი იქცევა ასე, ასეთია ჩვენი ცხოვრების რეჟიმი, რაც ძალიან მოგვწონს.

აი კიდევ რა: იმ ბროშურებში, რომლებსაც ტურისტები ფურცლავენ, არაფერი წერია ჩვენს ვარჯიშზე.

იქნებ, ასეც ჯობდეს...

გერმანულიდან თარგმნა
მედეა კოდუაშ.

* * *

სურათზე: პ. სნელი ლიდერობს 1500 მეტრზე რბენას. მან ყველა მეტოქეს აჯობა და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. ეს იყო 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე.

# „თავი დაანებეთ პელეს“

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ვ. ფეოლამ ღია წერილით მიმართა საზოგადოებრიობას, სადაც თხოვს გულშემატკივრებს „მოსვენება მისცენ პელეს“. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ ხანებში პელეს თამაში გაუფერულდა, ეს კი ბრაზილიელი გულშემატკივრების ცხოველ რეაქციას იწვევს. ფეოლა ამას ფსიქოლოგიური მიზეზებით ხსნის. „მე ვთხოვ ყველას, ვისაც ბრაზილიის გამარჯვება უნდა ინგლისში, თავი დაანებონ პელეს, ნუ აწუხებენ მას რჩევითა და წერილებით“.

ფეოლამ განაცხადა, რომ პელე ფორმიდან გამოვიდა ამასწინანდელი ქორწინების გამო. ეს ბუნებრივი შედეგია, რომელიც სპორტსმენსაც მოსდის და არასპორტსმენსაც.

ბოლოს ფეოლამ დასძინა, რომ პელე იქნება ეს, თუ სხვა ვინმე, ხეირიანად ვერ ითამაშებს ლონდონში, თუ იგი ფიზიკურად და მორალურად არ იქნა მზად ასეთი უმძიმესი შეჯიბრებისთვის.

# დიდი ენთუზიაზმი ნეაპოლში

როგორც იტალიელი სპორტული მიმომხილველები იუწყებიან, არც ერთი ევროპული ქალაქი არ მოუცავს ისეთ საფეხბურთო ენთუზიაზმს, როგორც ეს ახლა ნეაპოლშია. ამ ქალაქის გუნდი „ნაპოლი“ პირველად მონაწილეობდა პირველ ლიგაში, სადაც III ადგილი დაიკავა.

იტალიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ მიიღო სარეკორდო მოგება, რითაც ძირითადად ორ მოწვეულ „ვარსკვლავს“ — სივორისა და ალტაფინის უნდა უმადლოდეს სწორედ მათი პოპულარობა იყო იმის მიზეზი, რომ ნეაპოლში გაიყიდა 52 302 წლიური აბონემენტი, რაც არნახული ამბავია იტალიისთვის.

„ნაპოლის“ ხელმძღვანელობა მიმართავს ზომებს, რათა გუნდი კიდევ უფრო განამტკიცოს. ამ დღეებში მან ემისრები გაგზავნა ჰალერსა („ბოლონია“) და ჰამრინთან („ფიორენტინა“).

# ბრაზილიელი ასტროლოგის განცხადება

ბრაზილიის პრესაში გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, ცნობილმა ბრაზილიელმა ასტროლოგმა მ. სატურნომ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ნაკრები მესამეჯერ მოიპოვებს ჟიულ რიმეს თასს. „ფინალში შეხვდებიან ბრაზილია — ინგლისი ან ბრაზილია — იტალია. ბრაზილია გაიმარჯვებს ამარილდოს ერთადერთი გოლის წყალობით“. — ირწმუნება მ. სატურნო.

ბრაზილიის გაზეთები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სატურნოს წინასწარმეტყველება არაერთგზის გამართლდა. მან იწინასწარმეტყველა პრეზიდენტ ვარგასის, პრეზიდენტ კენედის სიკვდილი, პრეზიდენტ გულარტის გადაყენება და ბრაზილიის ნაკრების ორივე გამარჯვება შვეციასა და ჩილეში.

# ფეხბურთი

## მოკლედ

● **ლონდონი.** „ჩელსიმ“ სარეკორდო თანხა — 45 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა ახალგაზრდა მეკარე სტეპნეიში. სპეციალისტები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

● **ფხენიანი.** მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი 2 შეხვედრას გამართავს სამხრეთ კორეის გუნდთან. სამხრეთ კორეა, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე იყო 1954 წელს.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). სამატჩო შეხვედრა. საქართველო — ესტონეთი. დღეს — I ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. ხვალ — II ტური. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**ფეხბურთი.** — „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). 7 ივნისი. დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 8 ივნისი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 9 უე 05964